ვადები

მალფუჭებად სურსათზე მიეთითება ვარგისობის ვადა:

Use by: 21.10.2014

ამ ვადასთან ერთად სავალდებულოა შენახვის პირობების მითითება. ამ ვადის გასვლის შემდეგ პროდუქტის გაყიდვა იკრძალება.

სხვა პროდუქტებზე მიეთითება საუკეთესო გამოყენების ვადა:

Best before: 22.10.2014

დაშვებულია პროდუქტის გაყიდვა ამ ვადის გასვლის შემდეგაც.

დამატებით სავალდებულოა მიეთითოს:

- გაყინულ პროდუქტზე – პირველი **გაყინვის თარიღი**;
- კვერცხზე – **დადების თარიღი**.

კვებითი ღირებულების დეკლარაცია

2017 წლიდან სავალდებულო გახდება ყველა სურსათის ეტიკეტზე 100 გრ სურსათის კვებითი ღირებულების აღწერა ასეთი სქემით:

ენერგეტიკული ღირებულება	1500კჯ/156 კკალ
ცხიმი	7,4გ
მ.შ. ნაჯერი ცხიმები	1.1გ
ნახშირწყლები	58.1გ
მ.შ შაქრები	16.8გ
ცილა	9.9გ
სუფრის მარილი	0.1გ

სურსათის თაობაზე ინფორმაცია უნდა იყოს სწორი, ერთმნიშვნელოვანი და იოლად გასაგები. ამ ინფორმაციას მომხმარებელი შეცდომაში არ უნდა შეჰყავდეს და არ უნდა უქმნიდეს მას არასწორ მოლოდინებს ან იმედებს.

თუ პროდუქტი გარეგნულად **წააგავს სხვა, განსხვავებული შემადგენლობის პროდუქტს** (მ.შ. თქვენს მიერ წარმოებულს), დასახელებასთან ახლოს უნდა გაკეთდეს **მსხვილი წარწერა**, სადაც ეს განსხვავება საგანგებოდ მიეთითება!

სურსათის ეტიკეტზე გამოყენებული შრიფტის მინიმალური ზომა უნდა იყოს ასეთი

ძალიან პატარა ეტიკეტებზე კი ასეთი

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირის პოზიციად.

ევროკავშირი—საქართველოს ბიზნესსაბჭო
ზანდუკელის ქ. 3, თბილისი 0108 საქართველო
Tel: (+995 32) 2.24.21.14 / 15 / 16
info@eugbc.net /www.eugbc.net

EU-GEORGIA
BUSINESS COUNCIL

სურსათის ეტიკეტირების მოთხოვნები ევროკავშირში

ლია თოდუა
საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის ექსპერტი

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას.

ეს ნიშნავს, რომ მალე დაიწყება ქართული კანონმდებლობის გეგმაზომიერი მიახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

მათ შორის თანდათან „გაევროპულდება“ სურსათის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

ეს პროცესი 5-6 წელი გაგრძელდება.

იმისთვის, რომ მოვემზადოთ, ჯობს ვიცნობდეთ მომავალ მოთხოვნებს.

სურსათზე სავალდებულოა შემდეგი ინფორმაციის განთავსება:

- დასახელება;
- ინგრედიენტები;
- ნეტო წონა/ მოცულობა;
- გამოყენების ვადები;
- პასუხისმგებელი ბიზნეს–ოპერატორი.

საჭიროების მიხედვით მიეთითება გამოყენების ინსტრუქცია.

სურსათის დამზადების ქვეყანა/ადგილი მიეთითება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამის გარეშე მომხმარებელი შეცდომაში შევა. თუმცა საქონლის ხორცისთვის სავალდებულოა ცხოველის დაბადების, გამოკვების, დაკვლის, ხორცის დამუშავების/დაკეპვის ქვეყნის მითითება.

სავალდებულოა აგრეთვე მიეთითოს:

- პროდუქტის ფიზიკური მდგომარეობა: მაგ. გამომშრალი, დაფქვილი, გაყინული, კონცენტრირებული, შებოლილი;
- თუ შეიცავს დამატკბობლებს;
- თუ დამზადებულია გმო–სგან;
- თუ დამზადებულია ნედლი რძისგან;
- თუ დამზადებულია განაყინი ხორცისგან;
- თუ წარმოადგენს ფორმირებულ ხორცს (როცა გამოიყურება ერთიან ნაჭრად);
- თუ ხორცს დამატებული აქვს სხვა წარმომავლობის ცილები;
- დამატებული წყლის შემცველობა ხორცის ნაჭერში.

სურსათის დასახელება

სურსათის დასახელება უნდა იყოს ისეთი, რომელიც მომხმარებელს სურსათის ბუნებაზე სწორ წარმოდგენას შეუქმნის. არ შეიძლება დასახელება შეიცვალოს ბრენდული სახელით!

ზოგიერთი დასახელების გამოყენება მხოლოდ წინასწარ დადგენილი შემადგენლობის პროდუქტზე დაიშვება. ასეთი დასახელებებია:

- რძე და რძის ნაწარმი, სპრედი;
- ხორცის ფარშში;
- ზეითუნის ზეთი;
- შაქრები, თაფლი;
- კაკაო, შოკოლადი, ყავა;
- ხილის წვენი, ჯემი, მარმელადი.

დეტალური ინფორმაცია ამ დასახელების პროდუქტებისადმი არსებული მოთხოვნების თაობაზე ხელმისაწვდომია www.momxmarebeli.ge ვებ–გვერდზე განთავსებულ პუბლიკაციაში „სურსათის ეტიკეტირება“.

ზოგიერთი ტრადიციული სურსათის დასახელება წინასწარ რეგისტრირებულია და სხვა პროდუქტზე მათი გამოყენება იკრძალება (მაგ. ყველი როკფორი, ფეტა, ღვინოები შატო, ხვანჭკარა). ასეთ სურსათზე დაიტანება რომელიმე ეს ნიშანი:

ევროკავშირში რეგისტრირებული დასახელებები ხელმისაწვდომია ინტერნეტში მისამართზე http://ec.europa.eu/agriculture/quality/door/

ინგრედიენტები

ინგრედიენტები ნიშნავს იმ პროდუქტებს, რისგანაც დამზადებულია სურსათი. უნდა ჩამოითვალოს ყველა გამოყენებული პროდუქტი, კლებადობის მიხედვით.

ალერგიის გამომწვევი ინგრედიენტები (მაგ. რძე, სოიო, კვერცხი, თხილეული, თევზეული, ხორბალი, ჭვავი, ნიახური, მდოგვი) ჩამონათვალში გამოიყოფა **მსხილი შრიფტით.**

ჩამონათვალში უნდა დაკონკრეტდეს:

- ყველა გამოყენებული ხორცის სახეობა (ღორის ხორცი, საქონლის ხორცი, ქათმის ხორცი). ცალკე მიეთითება ე.წ. მექანიკურად გამოცალკევებული ხორცი (MSM);
- ყველა გამოყენებული ზეთის სახეობა. ცალკე მიეთითება ჰიდროგენიზებული მცენარეული ცხიმი.
- ყველა გამოყენებული ხილის, ბოსტნეულის, ბურღულეულის სახეობა.

ინგრედიენტებში „ხორცის“ მითითება დაიშვება მხოლოდ ცხოველის/ფრინველის ჩონჩხის კუნთების და მათი მიმდებარე ცხიმის (არა უმეტეს 30%) და შემაერთებელი ქსოვილის (არა უმეტეს 25%) აღსანიშნავად. დამატებული ცხიმი, შემაერთებელი ქსოვილი, ან გამოყენებული შიგნეულობა უნდა მიეთითოს ცალკე.

თუ სურსათის დასახელებაში გამახვილებულია ყურადღება მის რომელიმე ინგრედიენტზე, მაშინ სავალდებულოა ამ **ინგრედიენტის რაოდენობის მითითება.** მაგ. პროდუქტისთვის „პიცა ლორით“ – უნდა მიეთითოს გამოყენებული ლორის რაოდენობა; „იოგურტი მაყვლით“ – მიეთითოს მაყვლის რაოდენობა და ა.შ.